ა-ს ოკდომბერს 1883 წელიწადი პირველი. № 103. ჩუბგ წელსა.

შინ ბ.ბ. ვ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.

მწყემსი

№ 1.

გაზეთის ფასი: ერთი წლის გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი. ნახევარი წლისა — სამი მანეთი. ცალკე ნომრის ფასი 20 კაპეიკი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა Шорапань. *Въ мѣстечко Шорапань. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასით. მიიღებიან აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა Шорапаньში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორებთაგან ხელ მოწერილნი. და თუ ავტორებთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორებთაგან გამოგზავნილნი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: რედაქციისაგან.—შენიშვნა.—წერილები რედაქტორთან: I ქუთაისიდამ, II თეთალისიდამ.—სხვა ⅋ სხვა ამბები ⅋ შენიშვნები.— ყურნალ გაზეთებთა მიმოხილვა. — სიტყვა თქმული საქართველოის ეკსარხოსის არსენეზისკოპოსის ბაველეს მიერ მცხეთის სობოროში.— ნათლის ღების ⅋ მირონ ცხების სიდუმლოთა ტაბიკონის შესახები კითხვები ⅋ მათი განმარტება.—ნარკვი—განცხადებანი.

II.

რედაქციისაგან.

ა-ს ოკდომბერს. ქაკობრიობის ცხოვრებაში დიდი ცვლილებაები ხდება. დროება თავის ბეჭედს ასვამს ყველაფერს და თავისას შვრება; ამ უკანასკნელ დროს მაინც გასაოცარ ცვლილებაებს ეხედავთ ქაკობრიობის პროგრესში. მართალია, ქაკობრიობის ცხოვრებაში ნიადაგ ინიშნება წარმატებითი მოძრაობა, მაგრამ ეს მოძრაობა ისე თვალ საჩინო არ არის, რომ ქაცმა მცირე დროს განმავლობაში შენიშნოს. ამას უნდა ბევრი დრო და ისტორიული დაკვირვება...

სხვა განათლებულ ხალხებზე არაფერს ვიტყვით; ავიღოთ მარტო ჩვენი სახელმწიფო და გულს მოდგინედ დავაკვირდეთ ხალხის წინანდელ და ეხლანდელ მდგომარეობას და დროებით მოთხოვნილებათა. ისტორიაში დაუვიწყარი იმპერატორი ალექსანდრე მეორისაგან მოხდენილმა რეფორმებმა მაინც ხალხში მოახდინა ისეთი ცვლილებაები, რომელსაც ამ ერთი საუკუნის წინ ძველად წარმოიდგენდა ქაკი.

მრავალი მიზეზებია, რომელნიც ხალხის წარმატების და წინ წასვლის საქმეს ხელს უშლიან და დიდ ხანს აჩერებენ მას ერთ წერტილზედ. აგრეთვე მრავალი მიზეზების წყალობით მოხდება ხოლმე ხალხის გონებითად და ზნეობითად წინ-ბიჯის წადგმა და წარმატება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისე არა ფერი არ ეხმარება ხალხის კეთილ წარმატებას, მის ზნეობითად და გონებითად ამაღლებას და მის კეთილდღეობას როგორც ბეჭვდითი სიტყვა, სხვა და სხვა დრო გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემაები. ყველა ეხედავთ, რომ ამ უკანასკნელ დროს მაინც გასაოცრად გამრავლდნენ სხვა და სხვა დრო გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემაები. ზანათლებულ ქვეყნებში ყოველ თემს, ყოველ წოდებას და თითქმის ყოველ უწყებას აქვს თავისი ორგანი, ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით ერთი ასწავლის, მეორე სწავლობს, მესამე ხელმძღვანელობს, მეოთხე ბაძავს და ასე ყველა სარგებლობს. ერთს უკავია დროშა ხელში და მიდის წინ, სხვანი მიყვებიან უკან და ერთად ეომებიან უგნურებას, სიბნელეს,

უსამართლოებას, უზნეობას და სხვა-და-სხვა კაცობრიობის დამამცირებელ მოვლენათა...

ამ ჟურნალ-გაზეთების წყალობით სხვა განათლებულ ხალხებთან რუსეთის სახელმწიფო ხალხმაც ძლიერ წინ წადგა ბიჯი. სასულიერო წოდებამ პირველად არ მიაქცია ამ ხალხის გონებით მოძრაობას ყურადღება. წმინდანი მამანი და მოძღვარნი ეკკლესიისანი უფრო ეძიებენ და ითხოვენ მოძღვართა და სარწმუნოების მქადაგებლებთაგან სიწმიდესა და კეთილ-მსახურებასა ვიდრე ხორციელსა განათლებასა და სწავლა მეცნიერებასა. უმაღლესი სასულიერო მთავრობაც ამ თვისებას უფრო მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებლებთაგან. ამისათვის სამღვდელოებთაგან მაინც და მაინც დიდ სწავლას არ ითხოვდა. მაგრამ ამ უყურადღებლობამ, ცოტა არ იყო, ცუდი ნაყოფი მოიტანა, ცუდი შედეგი მოჰყვა: ცხოვარმა თავისი მწყემსის სიტყვა ვეღარ იცნო და წავიდა ისეთ მხარეს სადეთაც დიდი ხრამია გადასავარდნი. ვეღარ იცნო თავისი მწყემსი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თვისი სული დასდვას ცხოვართათვის...

მადლობა ღმერთსა, მალე მიაქციეს ყურადღება ამ შეცდომილების გასწორებას. დღეს შეძლებისადაგვარად ჩვენი სასულიერო მთავრობა ყველაფერ ღონის ძიებას ხმარობს სასულიერო წოდების გონებით ამაღლებისათვის. ამასთან თვითონ სასულიერო წოდებაც თავისი მხრით ცდილობს ყველა ღონის ძიებას ღირსეულად შეასრულოს თავის დანიშნულება და მიზანი. ამ ღონის ძიებათა შორის პირველი ადგილი უკავია სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა რიცხვმა ამ ბოლოს დროს ძველ დროსთან შედარებით, ძრიელ მოიმატა. ეს ჟურნალ-გაზეთები დიდად ეხმარებიან სარწმუნოების მქადაგებელთა და მოძღვართა თავის მოვალეობის აღსრულებაში, თავის სამწყსოს კეთილად დამწყვსაში და საზოგადოდ ყველა ქრისტიანებთა აძლევენ სულიერსა საზრდოსა. ძნელად ნახავთ მთელს რუსეთში, რომ ყოველ ეპარხიის სამღვდელოებას თავისი ორგანი: ჟურნალი ანუ გაზეთი არ ჰქონდეს...

მაგრამ მხოლოდ ჩვენ, სამწუხაროდ, საქართველოს სამღვდელოება და ხალხი ვართ გამოსხლეტილნი ყველა სამღვდელოებათა და ხალხთაგან, რომელთაც არ გვაქვს არც სასულიერო სალიტერატურო გაზეთი და არც ჟურნალი. ის სამღვდელოება, რომელიც ძველ დროში მაღლა იდგა გონებითად დანარჩენ ხალხზე და რომლის სიტყვა ქადაგებას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, დღეს გაჩუმებულია და თავის სამწყსოს ზოგიერთ ალაგას ბევრათ უკან ჩამორჩენილა გონებით და სწავლით...

რა გავლენა უნდა ექმნეს ამისთანა სამღვდელოებას ხალხზე? როგორ უნდა დაარიგოს მან თავისი სამწყსო? როგორ უნდა მოეხმაროს იგი ხალხში კეთილ ზნეობითი სწავლის გავრცელებას და როგორ უნდა შეასრულოს მან მტკიცედ თავისი დიდი მოვალეობა? რამდენი ამ გვარი კითხვები ტრიალებენ შენს გონებაში!...

ჩვენის ჰაზრით, სასულიერო სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები ძლიერ დაეხმარებიან ამ შემთხვევაში სამღვდელოებას და გაუადვილებს მათ თავისი დიდი მოვალეობის აღსრულებას.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ კაცს მარტო ის სწავლა ეყოს, რომელსაც შეიძენს სასწავლებლებში. ჩვენ მრავალი პირი გვინახავს, რომელთაც სასწავლებლებში სწავლა ჩინებულათ შეუთვისებიათ, მაგრამ მიყრუებულ ალაგას, დიდი ხნის გონებით უვარჯიშობისა-გამო უმეცრების ხავსით დაფარული. ესევე დაემართებათ ყველა იმ პირებს, რომელთაც თავის დიპლომზე დიდი იმედი დაუდვიათ და ამ დაიმედებით გონებითი ვარჯიშობისათვის თავი დაუნებებიათ და ხელს აღარაფერს აღარ ჰკიდებენ...

ჩვენში გამოიცა ერთად ერთი ქართული ჟურნალი: „საქართველოს სასულიერო მახარებელი,“ ჩყდ წელში უპატივცემულესი მამა ბიორგი ხელიძის რედაქტორობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ მოკლე დღე ჰქონდა მას. ბევრი თანამშრომელები აღმოუჩნდა ამ სასულიერო ჟურნალს; რედაქტორიც საიმედო პირი იყო; ჟურნალი გამოვიდა ივლისის თვიდამ ჩყდ წელსა და იმავე წელში ოკტომბრის თვეში ხელის მომწერლები ჰყვანდა სამას ოთხმოცდა რვა. ხელის მომწერლების ფული შეადგენდა ათას შვიდას სამოცდა შვიდ მანეთს, მაგრამ ჟურნალმა მაინც დიდხანს ვერ გაძლო. ოკტომბრის თვის №-ში მამა რედაქტორი და გამომცემელი ხსენებული ჟურნალისა სწერდა: „ვეცხლი და ოქრო, ანუ მდაბიურულ—ფული არა გვაქვს ჩვენ სიტყვისა მებრ პეტრე მოციქულისა; ხოლო რაიცა გვაქვს, მას სიამოვნებით უძღვნით პატივცემულს საზოგადოებასა, ესე იგი შრომასა, ცოდნასა და გულსმოდგინებასა.“ მართალია ყოველი საქმისათვის ძლიერ საჭირო არის შრომაც, ცოდნაც, და გულს მოდგინებაც. მაგრამ პირველ შემთხვევაში, განსაკუთრებით ჩვენში, არ შეიძლება საქმის გაკეთება უფულოთ და ეს უფულობა იყო კიდეც სხვათა შორის, ეგონებ, იმის მიზეზი, რომ ისე მალე მოესპო დღე „საქართველოს მახარებელს.“

მას დროს აქეთ გულით და სულით მოველოდით ჩვენ სასულიერო ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემას ქართულს ენაზე და უმჯობესი პროგრამით, მაგრამ ჩვენი სურვილი ნიადაგ სურვილად რჩებოდა და არ კმაყოფილდებოდა. სასულიერო პირნი მიილტოდნენ სახოროციელო ჟურნალ გაზეთების რედაქციებისადმი და თხოვილობდნენ მათ გაზეთებში და ჟურნალებში გამოეთქვათ თავიანთი ჰაზრები ზოგიერთი სასულიერო წოდების კითხვების შესახებ. პატივი ამ რედაქციებს, რომ ხშირად აკმაყოფილებდნენ ამისთანა პირთა სურვილს და თავის გაზეთებში ბეჭდავდენ იმისთანა სტატიებს, რომელთაც პირ და პირი დანიშნულება ჰქონდა სასულიერო ჟურნალებისათვის.

აწ მყო დროში, რომელიც იწოდება წარმატების დროდ, ყველანი უნდა გრძნობდეს, ღვთისაგან დაცულ ჩვენ საქართველოში დრო და დრო სასულიერო ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას ქართულს ენაზე. ეს ჰაზრი და საჭიროება, გადის აგერ ათი წელიწადი, განსვენებას არ გვაძლევდა და დღეს, მადლობა ღმერთსა, ვეღირსეთ მის აღსრულებას. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენთან მრავალნი ჩვენნი თანა მოძმენი და ქრისტიანენიცა ჰგრძნობენ სასულიერო ქართული ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას და დიდის სიხარულით მიეგებებიან ამისთანა გამოცემას...

ჩვენი გაზეთის მიზანს და დანიშნულებას ყველანი შეიტყობდნენ პროგრამიდამ, რომელიც ამას წინეთ ცალკე დაურიგდა ყველას და გაზეთებშიც გამოცხადდა.

ჩვენ ვგონებთ, რომ ყველა დარწმუნებულია იმაში თუ რა დიდი საძნელო საქმეა, განსაკუთრებით ჩვენში, ქართული სასულიერო სალიტერატურო ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საქმე და რა დიდ ღვაწლს, შრომას და ხარჯს მოითხოვს ეს საქმე. მაგრამ დაიმედებული ვართ, რომ სიყვარული საქმისა და მოყვასისადმი დასძლევენ ყველა გაჭირვებას და დაბრკოლებას. ამ სიყვარულობით და იმედით ვკიდებთ ხელს ამ საძნელო საქმეს და ამასთან იმედი გვაქვს, რომ ყველანი: მწყემსთ-მთავარნი, მოძღვარნი და თანა მოძმენი და ყველა ქართველნი, რომელნიც მოსურნენი და მოწადინენი არიან გავრცელებისათვის სულიერისა განათლებისა და კეთილ ზნეობითის ცხოვრებისა სასულიერო და საერო პირთა შორის საქართველოს ხალხში, ურომლოთაც არასოდეს და არსად ხალხის კეთილი ღეობითი ცხოვრება არ მოხერხებულა და არც მოხერხდება, დაგვეხმარებიან ჩვენ და თანაგრძნობას გაგვიწევენ ამ კეთილ და საზოგადო სასარგებლო საქმეში შეძლებისა დაგვარად.

შენიშვნა.

ამას წინეთ თფილისის მეტეხის ციხის მღვდელმა გამოაცხადა მეტის მეტად მოსაწონი აზრი საკითხავ წიგნებთა შეგროვებისა ციხეში მყოფთა ტუსაღებთათვის. ეს ჰაზრი ყველასაგან მოწონებული იყო და წიგნებთა შემწირველი პირები არა ერთი გამოჩენილა. ქოველის მხრიდამ სწირავდნენ წიგნებს და ამით სულიერ საზრდოს აძლევდნენ უბედურთა ტუსაღებთა.

მხოლოდ დღემდის არავინ გამოჩენილა ქუთაისის ციხის ტუსაღებისათვის, რომ ამისთანა კეთილი ჰაზრი აღეძრას მათზე. იმათშიაც მრავალი პირია, რომელთაც კითხვა იციან და რომელთაც დიდ საღავათს მისცემს წიგნების კითხვა განსაკუთრებით რელიგიური და კეთილ ზნეობის შინაარსისა.

ოთხ კედელ შუა მყოფი შეპყრობილი ტუსაღი მოკლებულია ყოველ ნაირ ფიზიკურ მოძრაობას. სულიერი შიმშილი მეტად სწყლავს ტუსაღის გულს და აშფოთებს მას. ძნელად წარმოიდგენს კაცი, თავისუფლებაში მყოფი, იმ წვალებას და უბედურებას, რასაც კაცი მარტოდ მყოფი ერთ პატარა ოთახში გრძნობს. მართალია ისინი იტანჯვებიან თავიანთ მოქმედებისა და ცუდი ქცევისათვის, მაგრამ ქრისტიანე კაცის გულს მაინც ებრალება იგინი და სწუხს მათზე. თვითონ მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე გვასწავლის ჩვენ საპყრობილესა შინა მყოფთა შებრალებას და ნახვას. (მათეს თავი კე მუხ. მე.)

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი თანა გრძნობას განაცხადებენ ამ კეთილ საქმეზე და შესწირავენ საკითხავ წიგნებს ტუსაღებთათვის, ვისაც რა შეეძლება და რა ენებება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრს მორჩენილი აქვს წიგნები და მათთვის იმდენად გამოსადეგი არ არის. მაგრამ ამისთანა წიგნების კითხვა დიდ ნუგეშს მისცემს ტუსაღებს. რამდენად კეთილად იმოქმედებს წიგნის კითხვა ზოგიერთს ტუსაღზე ამას ყველა მიხვდება.

ჩვენ პატიოსანი სიტყვა მოგვცა ქუთაისში მცხოვრებმა ბ. ზურაბ ბარძიმიშვილმა, რომ ის თავის ხარჯით ქუთაისის ციხის ტუსაღების სასარგებლოდ შესწირავს ერთ დიდ შკაფს წიგნების შესანახავად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ციხის მღვდელი მამა

ოქროპირ ქაჭახიძე ითავებს იმდენს, რომ წიგნების სიას შეადგენს და მიიღებს შეწირულ წიგნებს. ამასთან იმედი გვაქვს ტუსაღების ზედამხედველისაგან, რომ მონაწილეობას მიიღებს ამ კეთილ საქმეში.

ვთხოვთ ყველას ვისაც, რომელიმე წიგნების შეწირვა სურდეს ჩვენი გაზეთის რედაქციაში გამოგზავნონ, რომელთა სახელები იქმნებიან დაბეჭდილნი შეწირულთა წიგნებთა ჩვენებით.

წერილები რედაქტორთან.

I.

ქუთაისიდამ. კარგად იცის ყველამ, რომ ვიდრემდის იმერეთის ეპარხიის კათედრაზე დაინიშნებოდა ქოველად სამღვდელო ბაბრიელი, პრიჩეტნიკების განწესება ძლიერ ადვილად მოხდებოდა ხოლმე. ხშირად წესდებოდნენ უსწავლელნი და უცოდინარნი. მაგრამ როდესაც ქოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი მობრძანდა მას აქეთ პრიჩეტნიკები გამოუცდელად ვერ განწესდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს გამოცდილ პრიჩეტნიკებშიაც გამოერია ისეთები, რომელნიც თვლით ამოიკითხავდენ სამღრთო წერილის წიგნებს და გალობა ხომ თითქმის ყველამ ცუდათ და ძლიერ ნაკლებ იცან!. ეს შენიშნა თვითონ ქოველად სამღვდელომ და ამ ბოლოს დროს მედავითნეთა, პრიჩეტნიკებთა და პონომრებთა გამომცდელად სხვა პირი დააყენა და ზოგიერთ ძველ განწესებულ პრიჩეტნიკებსაც იბარებს ხელ-ახლა გამოსაცდელად...

ქოველად სამღვდელოს ჰაზრი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ახლად განწესებულნი მედავითნენი იყვნენ კარგად მცოდნენი თავის მოვალეობისა. ძრიელ კარგი და მოსაწონია ეს ჰაზრი...

სხვა ეპარხიებში სულ სხვა ღონის ძიებას ხმარობენ, რომ მედავითნენი კარგად მცოდნენი იყვნენ თავის თანამდებობისა. ეს ღონის ძიება მდგომარეობს იმაში, რომ საპრიჩეტნიკო პირებს მარტო საიდუმლოთ ოთახში გამოცდას არ დააჯერებენ. იმას დააყენებენ კლიროსზედ ორ კვირაობით კათედრის ანუ ეპისკოპოსის სასახლის ეკკლესიაში, აღოცვენ და ახმარებენ მღვდელს. აქ ადვილად შეიტყობს ყველა, როგორ იცის საპრიჩეტნიკო პირმა სამღრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვა და ღვთის მსახურების ტიბიკონი.

მე ძლიერ მიკვირს რატომ ჩვენშიც არ შემოიღებენ ამას? გამომცდელთან მოახერხებს კაცი ყველაფერს და სუსტიც რომ იყოს, კარგად გამოვა, მაგრამ აქ, მე ვგონებ, სუსტმა პირმა ვერაფერი ვერ მოახერხოს და ცოდნაც და უცოდინარობაც აშკარად გამოჩნდება.

სრული იმედი გვაქვს, რომ ამ საგანს ყურადღება მიექცევა ვისაგანაც ჯერ არის. ამ დროში მეტის მეტად საჭირო არის მცოდნე მედავითნენი რომელთა წანაკითხი უნდა ესმოდეს ხალხს და ჰაზრი გამოჰქონდეს მათი წანაკითხიდამ. ამ შემთხვევაში თუ რაიმე ბოროტ მოქმედება ხერხდებოდა გამოცდის დროს ისიც, სრულებით მოისპობა.

სოფლის მღვდელი.

II.

თფილისიდამ. ამას წინეთ „დროებაში" წავიკითხეთ მშვენიერი ჰაზრი ქოველად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისა შესახებ ფულების მოგროვებისა ქართული გალობის აღსადგინებლად. სხვათა შორის, მისი ჰაზრით ოცი ათასი მანეთი უნდა შეკრებილიყო ფონდის ფული და გალობის აღდგინებისათვის ხელი უნდა მიეყოთ. მას დროს აქეთ აღარაფერი თქმულა ამ საგანზე. საუბედუროთ ერთი სენი გვჭირს ჩვენ, ყველა ქართველებს. დავიწყებთ რომელიმე კეთილ საქმეს. დასაწყისშივე დიდ გულ მხურვალეობას გამოვიჩენთ; მაგრამ ცოტა ხანს იქით გულს ავიცრუებთ ამ საქმეზე და ხანდის ხან თავსაც ვანებებთ. ღმერთმა ნუ ქმნას ეს ამ საქმეში, მაგრამ მეტის მეტად საჭირო არის შევიტყოთ: როგორ მდგომარეობაში არის ეხლა ქართული გალობის საქმე? არის კომიტეტი ამ საქმეზე დანიშნული თუ არა? რამდენი შეიკრიბა ფულები? სად ინახება ეს ფულები და ვის აბარია? მუშაობს ვინმე ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის თუ არა?

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ კითხვებზე პასუხს გაგვცემს ქოველად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი, რომელმანაც ითავა ამისთანა კეთილი საქმე და ამასთან გამოაცხადებს შემწირველთა სიასაც. *)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ჯ ამასთან ვაცხადებთ, რომ დიდი სიამოვნებით მივიღებთ ჯ დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში შემწირველებთა სიას. ეს საჭიროა მით ნამეტურ, რომ მეც მაქვს ტოტალოდენი ფული მობოჭილი სამღვდელოებაში ჯ გაგზავნილი ყოველად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსთან ჯ შემწირველების სია ჯერსად ჯერის დაბეჭდილი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველად სამ-

სხვა და სხვა ამბები.

ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი უნდა ვახაროთ მთელ საქართველოს სამღვდელოებას. ეს სასიხარულო ამბავი არის მოსპობა ბერძნული ენის სწავლების სასულიერო სასწავლებლებში და ქართული ენის კათედრის დაწესება, როგორც სასწავლებლებში ისე სემინარიაში.

ათს აგვისტოს ამა წლისა გამოიცა უქაზი უწმინდესის სინოდისაგან **№ 2436**, რომლითაც სასულიერო სასწავლებლის პროგრამიდამ გამოირიცხა ბერძნული ენის სწავლება და ქართულ ენას მიენიჭა ის უფლება, რაც სხვა საგნებს ჰქონდა მინიჭებული. ამასთან შემოკლდა ცოტათი ლათინური ენის გაკვეთილები. სასულიერო სემინარიაში თუმცა სრულებით არ მოსპობილა ბერძნული ენის სწავლება, მაგრამ შემოკლდა ამ ენის გაკვეთილებიც. უველაზე სასიამოვნო ის არის, რომ დედა ენას მიენიჭა ის უფლება, რომელსაც დღემდის მოკლებული იყო იგი. ეხლა მხოლოდ ის არის სასურველი, რომ ქართული ენის მასწავლებლებათ დაინიშნონ იმისთანა პირები, რომელთაც ეს ენა კარგად აქვსთ შესწავლილი და ამ საგნის სწავლება ეხალისებათ...

***

ამასთან მეორე სასიამოვნო ამბავი უნდა ვაცნობოთ დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებას. ხმებია, რომ წმიდა სინოდი დათანახმებულა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებაზე და თავისი საშუალებიდამ, ვითომც, ორასი ათას მანეთამდე ეწევოდეს სემინარიის სახლის ასაშენებლად. ამასთან სინოდს სურსო, ამბობენ, რომ დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებამ ის ფულები, რომლის შეწირვა მათ გადაწყვიტეს ამას წინეთ, სინოდს გარდასცეს, რომლის სარგებელს გარდა კიდევ შემწეობას ჰპირდება თავისი საშუალებიდამ.

ღვდელო ამ შეწირულ ფულებს კარგად დაიცავს, მაგრამ საჭიროა ამ შემთხვევაში შემწირველებთა სურვილიც დააკმაყოფილოთ.

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ზ. ქორიძე, შესდგომია ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას და ოქროპირის წირვის გალობა კიდეც გადაუღია. მე თვითონ დავესწარი მისგან ნოტებზე გადაღებულ ქართულ გალობას იმერულ კილოზე და უნდა მოგახსენოთ, აღტაცებაში მოვედი მისი სიმშვენიერით. ამ საგანზე შემდეგ ვიტყვით კიდევ.

რედაქტორი.

ამის დაწერის შემდეგ ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ ამის თაობაზე კიდეც მიუღია საქართველოს ექსარხოსს უქაზი უწმინდესის სინოდიდამ. ამ საგნის შესახებ სამღვდელოების ყრილობა არის დანიშნული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ პირველ ნოემბრის თვისათვის ამა წლისა ქ. ქუთაისში. იმედია, რომ ამ საგანზე კარგად მოიფიქრებს სამღვდელოება და ჯეროვან გადაწყვეტილებას დაადგენს ამ საქმის შესახებ.

***

„დროებამ“ რამდენჯერმე გვაცნობა, რომ ზ. სტრუიცკიმ, რომელმაც ქუთაისში ადგილი შეიძინა და ეკკლესია და კარგი სახლები ააგო, განიზრახა თავისი ყველა ქონების შეწირვა ეპარხიის სასარგებლოდ. ეს ამბავი ეხლა გამართლდა. იმან ფორმალურად და შთაბარებითი ფურცლით გადასცა ქუთაისის სასულიერო მართებლობას ეს მამული, რომელიც მდებარებს ქუთაისის ვაგზალის ქვემოთ და ღირს არა ნაკლებ სამოცი ათასი მანეთისა.

შეწირვაც ამას ჰქვიან! ამ კაცს რაც გაუჩნდა ქუთაისში მთლად შესწირა კეთილ საქმეს. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, კვდებიან ზოგიერთი მდიდრები, არ რჩებათ არც ცოლი არც შვილი; მამული აუარებელი რჩებათ, მაგრამ კეთილ საქმეზე ერთ გროშს არ სწირვენ!.. მზად არიან ათასი მანეთი ბანქოს თამაშზედ წააგონ, მაგრამ ხალხის განათლების საქმეზე ერთ მანეთს ვერ გამოაღებინებთ. უველაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ამისთანა პირები ზეცამდინ აჰყავთ ქებით...

***

სამეგრელოდამ გვწერენ, რომ სამეგრელო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება კე-ს აგვისტოსს შეკრებილა უოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებისამებრ სასწავლებლის საქმეების შესახებ. შეკრებილებას ბევრი უწესოება უნახავს სასწავლებელში, რომელზედაც, როგორც გვაცნობებენ, სიგელი შეუდგენიათ დეპუტატებს და რევიზორი მოუთხოვიათ. ამბობენ, რომ რევიზორი კიდეც დანიშნულა ტფილისის სემინარიის სამმართველოდამ.

ძლიერ სამწუხაროა ყველასთვის ამდენი ხნის საქმის დაუწყობლობა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში და ვისურვებთ, რომ ბოლო მოეღებოდეს ყველანაირ უთანხმოებას, რომელიც სუფევს სამღვდელოებსა და სასწავლებლის მოსამსახურე პირთა შორის...

***

მიმდინარე წლის დეკემბრის ცხრას შესრულდება სწორეთ ოცდა ხუთი წელიწადი, რაც ეპისკოპოსის ხარისხზედ მსახურებს იმერეთის ეპისკოპოსი ყოველად სამღვდელო გაბრიელი. იმედია, ჯეროვანად იდღესასწაულებს იმერეთის სამღვდელოება მის ოცდა ხუთი წლის იუბილეის დღესასწაულს.

***

ჩვენ შევიტყვეთ ნამდვილად რომ მაღალ ყოველად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი არხიეპისკოპოსი პავლე ამ თვეში მოგზრძანდება იმერეთის ეპარხიაში და დაიელის ამ ეპარხიის შესანიშნავ ადგილებს. ამბობენ, რომ ზურიაშიც წაბრძანდება ზურიის ეპარხიის დასახედავათ. ჩვენ ვგონებთ, რომ მისი დახედვის შემდეგ მალე გადაწყდეს ზურიის ეპარხიის დატოვების, ანუ გაუქმების საქმე.

ჟურნალ-გაზეთებთა მიმოხილვა.

ათონის მთიდამ სხვათა შორის სწერენ რუსულ გაზეთს „ცერკოვნო-ობშჩესტვენნი ვესტნიკ-ს“ („Церковно-Общественный Вѣстникъ“) შემდეგ საყურადღებო ამბავს: „თითქმის აპრილის თვიდამ დაიწყეს ცდილობა საბერძნეთის მონასტრის ბერებმა, რომ განადგენონ ათონის წმიდა მთიდამ ყველა სლავიანები, და მათთან მოლდავო ვალახიის და ქართველთა ბერები. ამისთანა სამწუხარო ფაკტი თან და თან მატულობს.

დასაფიქრებელი კითხვა ათონის ქართველთა ბერებისა დიდიხანია შეტყობილი აქვს რუსეთის მართებლობას, რომელმანც კიდეც აღუთქვა მათი კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ საქმის გამო, რომელიც ითხოვს დაუყონებლივ გარდაწყვეტას, ამბობენ, ამ თვის დამლევს უნდა მოვიდეს ქონსტანტინეპოლიდამ რუსის ელჩი ბ. ნელიდოვი, და ადგილობრივ უნდა შეიტყოს როგორც ქართველთა ბერებთა საქმე ისე ყველა საჩივრები, რომელნიცა მიართვეს ამ ელჩს. მაგრამ აქ ელჩის მოსვლამდე ძლიერ შეავიწროვეს ქართველთა ბერები, რომელთა რიცხვი არის ორმოცამდე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ივერიის მონასტერი დაფუძნებიდამ როგორც სჩანს მრავალთა საბუთებთაგან, ეკუთვნოდა და ეკუთვნის ქართველთა, მაგრამ ბერძნებმა შეავიწროვეს იგინი და დაისაკუთრეს სამუდამოდ მათი კუთვნილება. ახლა სხვა და სხვა გარემოებათა წყალობით ქართველთა ბერებთა რიცხვმა იმატა და თხოულობენ მიენიჭოს მათ ის უფლება ათონის მთაზე რაც ჰქონებიათ წინეთ ქართველთა და ანუ რა უფლებითაც სარგებლობენ სხვანიცა. ამისთანა კანონიერ მოთხოვნილებას ბერძნის ბერები სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, ის ბერები, რომელნიც ყოველ წელს მრავალ შეწირულებას იღებენ რუსეთიდამ.

ვიცით რა ხასიათი ბერძნებთა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერაფერს ვერ იზმონან ვერც ქონსტანტინეპოლში დამდგარი ჩვენი რუსეთის ელჩი და ვერც ქონსტანტინეპოლის პატრიარქი, თუ ამ საქმეში არ ჩაერია თვითონ სათათრეთის მართებლობა. ვატოპედის და ივერიის მონასტრების ბერები, რომელნიც იღებენ აუარებელ შეწირულებას რუსეთიდამ აშკარად ამბობენ, რომ მათ რუსეთის შეწირულებითა შემწეობით აქვსთ იმედი გარეკონ ყველანი ათონის მთიდამ, ვინც ელინებთაგანი არ არიან.“

ზემო ხსენებულსავე გაზეთში ვკითხულობთ „მოსკოვის უწყებიდამ“ გადმობეჭდილ შემდეგ შენიშვნას. „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება წინეთ ცდილობდა, რომ თავისი მოქმედების ანგარიში ბეჭდით შეეტყობინებია ხოლმე საზოგადოებისათვის და ამით საზოგადოებაში მოეპოვებიათ წევრები რომლითაც შეწირულებაც მრავლდებოდა. იმ სხვა და სხვა ცნობებთა გარდა, რომელთაც საზოგადოება ბეჭდავდა ადგილობრივ გაზეთებში, გამოსცემდა ხოლმე წლიურ ანგარიშს, რომლიდამაც ყოველი მოქმედება ამ საზოგადოებისა ცხადათ სჩანდა; მისი ნაყოფი სარწმუნოების გავრცელების შესახებ, შესავალ-გასავალი, შკოლების ამბავი და სხვ. ამისთანა ანგარიშები ცალკე წიგნებათ იბეჭდებოდნენ და ყველას შეეძლო მათი მოპოება გაუჭირველად.

ასე იყო წინეთ, მაგრამ გარემოება ბოლოს შეიცვალა. თავისი მოქმედების ანგარიშის ბეჭდას საზოგადოებამ თავი დაანება. ამის შემდეგ ცოტა რამ ცნობები ამ საზოგადოებაზე „ქავკაზის ქალენდარში“ შეეძლო კაცს მოენახა, რომელი კალენდარიც იბეჭდებოდა ქავკაზის უმთავრეს სამმართველოში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ცნობებიც ნამეტნავად დამცირდნენ კალენდარში. აი მაგალითებრ: ჩყოთ წლის კალენდარში, სხვათა შორის, ამ საზოგადოებაზე არის დაბეჭდილი შემდეგი: „საზოგადოება ქრისტიანობის აღმადგინებელი, სარგებლობს რა ადგილობრივი საზოგადოების და მთელი რუსეთის თანაგრძნობითა, იღებს შემწეობას და საშუალებას სახელმწიფო თფილისის ხაზინიდამ მიღებულ ოცდა

ათი ათას მანეთს გარდა ყოველ წლობით, სამთლის ვაჭრობიდამ შემოსულ ფულს, წევრთაგან შემოსულს ფულს მთელი წლებისას და ამ საგნისათვის დადგმულ კრუშკებიდამ კეთილ მნებებელთ პირთაგან შემოწირულს, რომელი შემოწირულებაც ყოველ წლობით იგზავნება რუსეთიდამ. ,,ამ ცნობას გარდა ამ წლის კალენდარში არაფერი არა არის რა ამ საზოგადოებაზე ნათქვამი.''

,,ათი წლის განმამავლობაში თავნი ფული საზოგადოებისა თავისუფალი იყო და ამისათვის სარგებლებით დიდი ძალი ფული შედგა. რომ თავნ ფულს არ შეხებოდნენ, ყველა იმ წყაროებიდამ შემოსული ფული დიდ სარგებლობას მოუტანდა მისიონერობის საქმეს კავკაზიის და ზაკავკაზიის მხარეებში. მაგრამ საზოგადოებამ დაინახა საჭიროთ, ეს თავნი ფული დაეხარჯა ყარაიაზში თხრილების გასაყვანათ და მოსარწყავათ ამ ადგილებისა, რომელი ადგილიც თფილისიდამ ოცდა ხუთი ვერსით არის ქვემოთ მტკვრის მარცხენა მხარეზე. *) რადგან ეს მხარე უწყლო არის, საზოგადოებამ განიზრახა ამ მხარის მორწყვა და დიდი საქმის დაწყება. მაგრამ ამ დაწყებამ და ამ საქმემ გამოულია ყველა ფული საზოგადოებას. ყარაიაზის ადგილებიდამ იქნება ბოლოს რამე დიდი სარგებლობა შემოსულიყო, მაგრამ აგრე მალე არა, ეს შეიძლებოდა რამდენიმე ათი წლის შემდეგ. თფილისში ხმა არის გავრცელებული, რომ არა თუ სხვა და სხვა წყაროებიდამ შემოსავალი ფულები დაიხარჯა ყარაიაზში არხის გაყვანაზე, არამედ თუთხმეტი ათასი მანეთიც ამ საქმეზე იხარჯებოდა, რომელიც სუბსიდით ეძლევოდა ამ საზოგადოებას იმ ფულებთაგან რომელიც ნამესტნიკს ეძლევოდა ამ მხარეში კეთილ საქმეების დაწყებისათვის.

რამდენად მართალია ეს ხმები, რადგან დაბექდილი ანგარიშები აღარ შეიძლება იშოვოს კაცმა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ქრისტიანობის აღმადგინებელმა საზოგადოებამ მოკიდა ისეთ საქმეს ხელი, რომელიც ეკუთვნის კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებას და არა მას. ამ საქმემ მოითხოვა საზოგადოებისაგან დიდი შრომა, დიდი ფული და არა შესაფერი მოქმედება და მოაშორა თავის მისიონერულ დანიშნულებას.

*) ყარაიაზის ადგილები მართებლობამ შესწირა მართლმადიდებელ სარწმუნოების აღმადგინებელ საზოგადოებას. საზოგადოებამ აქ განიზრახა არხით წყლის გაყვანა და მორწყვა ამა ადგილების და ბაღების გაკეთება. მაგრამ ზარალის მეტი რაა უნახავს რა.

რედაქტორი.

ექსარხოსი საქართველოისა არ ირიცხება ამ საზოგადოების თავმჯდომარედ. ის მხოლოდ წევრია ამ საზოგადოებისა. ამისგან მოდის ის, რომ ექსარხოს არ შეუძლია თავის შეხედულებისამებრ წაიყვანოს მოქმედება საზოგადოებისა.''

ქართული ენის შტატის საგნად აღიარების თაობაზე ჩვენ ვკითხულობთ ,,დროების'' მე **189 №**-ში შემდეგ შენიშვნას:

,,დღეიდამ ქართული ენა შტატის საგნად იქმნება ჩარიცხული და მისი მასწავლებელი შტატის მასწავლებლად. ახლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პროგრამა ექნება ქართულ ენას და როგორი მასწავლებელი ეყოლება, მეტადრე ამ პირველ ხანს. დიდი მოვალეობა ედება კისრად და დიდი შრომა მოელის ქართულ სიტყვიერების მასწავლებელს, თუ რიგიანად ესმის დედა-ენის მასწავლებლობის მნიშვნელობა საზოგადოდ და მისი სიმძიმე და ღვაწლი ჩვენში კერძოდ, მეტადრე ამ ჟამად, სასულიერო სასწავლებლებში. არც გარკვეული პროგრამა, არც სახელმძღვანელო, არც სისტემატიური მასალა და გამოცდილება. პირველი ნაბიჯი, პირველი კვალის გავლა ყოველთვის უფრო ძნელია. ასე ვფიქრობთ ჩვენ და ასე უნდა ჰფიქრობდეს, ჩვენის აზრით, ყველა, ვინც იკისრებს ახალის მძიმე თანამდებობის კისრად დებას. მან უნდა იცოდეს, რომ მას ადევნებს ყურადღებას და მოსთხოვს ზნეობითს ანგარიშს ყველა სამშობლო ქვეყნის წარმატების მსურველი.''

გაზეთს ,,დროებაშივე'' ვკითხულობთ ფრიად სასიამოვნო ამბავს დუშეთის მაზრაში სოფლის წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლის გახსნაზედ. ამ სკოლის გახსნაზედ დასწრებულან მრავალნი პატივცემულნი პირნი. პარაკლისის გადახდის შემდეგ წარმოუთქვამს მშვენიერი სიტყვები პირველად თვითონ ამ სკოლის დამაარსებელს ბ. ი. ი. წინამძღვრიშვილს. შემდეგ წარმოუთქვამს სიტყვა ბ. ილია ჭავჭავაძეს. ორივე ამ სიტყვებს, როგორც მრავალ მნიშვნელოვანს ვბექდავთ ჩვენ აქ ,,დროების'' გაზეთიდამ.

ბ. წინამძღვრიშვილის სიტყვა.

«მოწყალენო ხელმწიფენო!

«ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი გაბედულობა, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი. მართლა,

რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის შვილის ვალია შეძლებისაებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა და მეორეს მხრივ—აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას, და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის,—საჭიროა ხელის-შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავუღოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

«მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილს სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გააბნიოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუ-მორწმუნეობას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თვითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის ქაკასიისათვის და თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას. მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერნი მეგობრებათ გარდაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება.

«დასასრულ, მოვალეთა ვრაცხ ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა მადლობა დ. ს—ძეს სტაროსელსკის ამ სკოლისადმი თანაგრძნობისათვის და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის ზრუნავდენ. იმედი ვიქონიოთ, რომ დიმიტრი სვიმონის ძე მიიღებს ამ სკოლას თავის მფარველობის ქვეშ.

ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერის მომავლისა»!

ბ. იდია ჭავჭავაძის სიტყვა.

«ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

«ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაუსხნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედა-მიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

«თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი—მაშრალათა ვართ ღარიბნიო?—მკითხავთ თქვენ.

«იმიტომ, რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე ჰძევს, სად რა განძია. არ ვიცით საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ, ისა, რაც, თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა ჰსჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედა-მიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

«მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედა-მიწა თავის უხვსა და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ჰსცხოვრებს. რადა? ბანა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა. იმათ ცოდნა აქვთ. ხერხი იციან. «ხერხი ჰსჯობია ღონესაო» თქვენგანვეა თქმული და მართალიც არის.

«ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე...არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წაართმევს, ვერცა

ეინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა ჰსჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

«ღონიერი და ჭირთა მძლეელი ის არის, ვისაც ჰკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზდია. «ქაცი უნდა ხერხი იყოს, გაჭონდეს და გამოჭონდესო», თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის-თავისაც. ქაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჰკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს. მაშინ კაცს ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

«ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თვითონ ყოველ დღე ჰხედავთ, რომ ეგ აგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რადა? იმიტომ რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშა-კაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რადა? ქიდევ იმიტომ რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

«ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირ-იქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპასა.

«სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფთხობს, იქ სინათლეა, ჰსჩანს ჰღვიძავთო და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარენი დამხვდებიან და მიმასპინძლებენო.

«სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

«ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი ერთნაირად შეიყვედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დააშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულ-მონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

«ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულ-მტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თანასონობით, დაუღალავის მცდელობით, თავ-გამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

«აი სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დაუფთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

«ცოდნა ბევრ ნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები თქვენი, შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედა-მიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს სად რა სიმდიდრე უძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყანისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

«მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა-გამო, თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველ-

თვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზედ წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა თქვენის თვალითვე დაგანახოთ, რომ მართლა «ხერხი ჰსჯობნებია ღონესა». მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: «ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი ჰსჯობდეს მამასაო».

«თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს!»

III.

სიტყვა

თქმული პირველად შემოსვლის დროს მცხეთის სობოროში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ პირველ ოკდომბერს ჩეკბ წელსა. *)

მცხეთაში, უწინდელი საქართველოის მეფეთა სატახტო ქალაქში ღვთის განგებით პირველად მხვდება შენთან შეხვედრა, ღვთისაგან მონიჭებულო ჩემო ახალო სამწყსო! მცხეთის სობოროში, ძველიდგანვე საქართველოის ხალხთა წმიდათა საუნჯეში, პირველად ვასრულებ ამ მხარეში სამღრთო ლიტურგიას და ვსწირავ უსისხლო მსხვერპლს ქვეყნის სახსნელად, და კერძოდ, მოსახსენებლად ჩემდა და შენდა ჩემო სამწყსო. დიახ, მცხეთის მოციქულთა სობოროო მართლაც რომ დიდი სახალხო წმიდა ადგილია საქართველოსი. აი წმიდა სვეტი, რომელიც გვიჩვენებს, სად იყო დამარხული უდიდესი სიწმიდე ყველა ქრისტიანეთა—კვართი უფლისა. აი ძველი სამეფო ტახტი ქართველთა მეფეთა, რომელნიცა ამ წმიდა ტაძარში კიდეც დაგვირგვინოსდებოდენ და სიკვდილის შემდეგ აქავე განისვენებდნენ. აი ტახტი, რომელზედაც დასხდებოდნენ ქათალიკოზები, უპირატესი მდვდელმთავრები საქართველოისი. აი სასაფლაო და სასაფლაოს ქვები, რომელთ ქვეშ განისვენებენ საქართველოს მეფეების გვამები და იმათი შთამამავლობა. და თვითონ მცხეთის სობოროც დიდი და მშვენიერია, თუმცა დროთა ვითარებას იმაზედაც დაუდვია თავისი ყოვლად შემუსრავი ხელი. იგი დიდი და მშვენიერია და ემგზავსება მშვენიერ მოხუცებულს, რომლის მოხუცებულ სახეზე იხატება მისი უმაწვილობის და ვაჟკაცობის დროის სილამაზე. დიახ, მცხეთის სობოროო დიდი სახალხო საქართველოს წმიდა ადგილია. ყველა ესეები და ძველი დროის ნაშთები მაიძულებენ, ახალო ჩემო სამწყსო, შენთან ერთად მოვიხსენოთ ძველი დრო და ვიხწავოთ მით.

ბედი სამეფოთა მზგავსია თვითეული კაცის ბედისა. თავის დროზე კაცი იბადება ქვეყანაზე, თან-და-თან იზრდება, ეძლევა ძალა და ღონე და ვაჟკაცდება; შემდეგ ბერდება და კვდება. კაცის დიდიხნის ცხოვრება დამოკიდებულია მისი ტანის ბუნების სიმრთელეზე და იმის ცხოვრებაზე. თუ კაცი შრომის მოყვარეა, მომთმენი, სცხოვრებს ზომიერად, თუ ის ზნეობითად მაღლა სდგას, მაშინ ტანის აგებულებაც, რომ სუსტი ჰქონდეს მას, ხშირად სცხოვრებს დიდხანს; ბედნიერად და კმაყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოროტება, ზარმაცობა, მოუთმენელი და უწმინდური ცხოვრება მალე უსპობს დროს თვით ჯან მრთელი კაცის სხეულსაც. მაგრამ კაცი სიკვდილს ვერ დაემალება: ადრე თუ გვიან, ცოტა ანუ დიდიხნის სიცოცხლის შემდეგ კვდება კაცი. არაფერს ძალას, არაფერს მოხერხებას არ შაუძლია კაცი სიკვდილინაგან დაიხსნას. ყველა კერძო კაცის ცხოვრება ემგზავსება მთელს სამეფოთა ბედსა. თითქმის შეუნიშნავად ისტორიისა ჩნდებიან ხალხნი და სამეფონი, თან-და-თან დიდდებიან, ხანდის ხან ისეთი შეძლებული და დაწინაურებულიც შეიქნებიან, რომ დიდ მნიშვნელობას იძენენ და დიდი გავლენაც აქვსთ სხვა ხალხთა ბედზე და კეთილ დღეობაზე; მაგრამ შემდეგ უძლურდებიან,

---

*) ერთი წელიწადი გასრულდა სწორეთ მას აქეთ, რაც ჩვენში მობრძანდა ექსარხოსად მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე. მისი შემობრძანება ჩვენში განსაკუთრებითი იყო. შემოსვლის დროს სამს ადგილას მან წარმოსთქვა სიტყვები: ვლადიკავკაზში, მცხეთაში და სიონის სობოროში. ორი უკანასკნელ სიტყვების თქმის დროს ჩვენც დავესწარით. მისმა წარმოთქმულმა სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მსმენელებზე. ვბეჭდავთ პირველად სიტყვას თქმულს მცხეთის სობოროში, რომელიც ჩვენ გადმოგვცა რუსულიდამ გადათარგმნილი ე. ღ—ძემ. შემდეგისთვის დაგბეჭდავთ სიტყვას, რომლითაც მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიიქცა თავის სამწყსოსადმი სიონის სობოროში.

რედაქტორი.

იხრწნებიან, იმგვრევიან და თავის შემდეგ სტოვებენ ნანგრევებს აღსადგენელად ახალთა სამეფოთა. სად არიან ეხლა ყოვლად შეძლებულნი სამეფონი ძველი დროისა, რომელთა დიდება და ძლევა მოფენილი იყო ქვეყანაზე? სად არის ფრიად შემძლე და მეზობელთა ხალხთა შემაძრწუნებელი ბაბილონი ნაბუქოდონოსორის მეფის დროისა? სად არის ერთ დროს ძლიერი სამეფო ასირია? ისინი განჰქრენ, დასტოვეს მხოლოდ ქალაქთა ნანგრევები და მათ ადგილზე თემები სცხოვრებენ სულ სხვა სახელებითა. სად არის სპარსეთის სამეფო კირისა და დარიასი? სად არის ყოვლად შემძლე მაკედონის სამეფო, რომელმაც ალექსანდრე დიდის დროს კინაღამ მთელი ქვეყანა არ დაიპყრო? სად არის მსოფლიო რომის იმპერია? ყველა ეს სამეფოები დაეცნენ და უწინდელი სახით ველარ აღსდგებიან. ხშირად კი პატარა და სუსტი სამეფოები, გარე მოცულნი შემძლე მტრებთაგან, დიდი ხნობით ინახავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას, ვინემ დიდი და შემძლე სამეფონი. მაგალითი საქართველოა, რომელიც დიდ ხანს ებრძოლა თავის მტრებს, მაგრამ მერე მიღებულ იქმნა რუსეთის იმპერიის მფარველობასა ქვეშე, რომელმაც თავის შემძლე ორთავიან არწივის ფრთებ ქვეშ, როგორც ფრინველი ბღარტებთა, შეაერთა სხვა და სხვა ხალხები და იცავს მათ თავიანთი სარწმუნოებით, ჩვეულობით და ენით... რაში მდგომარეობს მიზეზი, რომ ზოგი სამეფონი დიდ ხანს არსებობენ ქვეყანაზე და ზოგი ცოტა ხანს? ამის მიზეზი არის ისივე, რომლითაც წარმოსდგება ყოველივე კერძო პირის გრძელ ანუ მოკლე ჟამიური სიცოცხლე— ხალხთა ზნეობითი მდგომარეობა. დიდ ხანს არსებობდნენ ის სამეფოები, რომლებშიაც მთავრობა იყო ძლიერი, რომლებშიდაც მთავრობა ითვლებოდა საღმრთოდ და ხელ შეუხებლად ქვეშევრდომთაგან და იყო მათგან შეყვარებული. გრძელ ჟამიერნი იყვნენ ის სამეფონი, რომლებშიაც ქვეშევრდომნი ერთ სულობით ზრუნავდნენ საზოგადო სიკეთისათვის, არ იყოფოდნენ ერთმანეთის, ანუ თავის მთავრობის წინააღმდეგ დასებად. გრძელ ჟამიერნი იყვნენ ის სახელმწიფონი, რომელთა ხალხი განსხვავდებოდა პატიოსნური ზნეობითა, პატიოსნებითა, შრომის მოყვარეობითა, მომჭირნეობითა და წესიური ცხოვრებითა, ჰკრებავდა და ინახავდა თავისი შრომის ნამყოფსა—ხალხის სიმდიდრესა. განსაკუთრებითი გრძელ ჟამიური ცხოვრებითა განსხვავდებოდნენ და განსხვავდებიან ახალი სამეფონი ქრისტიანეთა ქვეყნისა, რომელთა კანონმდებლობაში და ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად სდევს ქრისტეს ჭეშმარიტება და სჯული მაცხოვრისა, მარილი კაცობრივისა ცხოვრებისა, დამცველი ზნეობითის განხრწნისაგან. მაგრამ როდესაც სამეფოებში ატყდებოდა ურთიერთ შორის ბრძოლა, მტაცებლობა, გარყვნილება, დიდკაცური ცხოვრების სურვილი და ღალატობა, მაშინ ეღებოდათ მათ ბოლო, შაიქნებოდნენ ხოლმე მტრებთა ხვედრად და თვითონ მათი სახსენებელიც ისპობოდა საუკუნოდ. მხოლოდ სამეფონი, რომელთა ქვეშევრდომნი სცხოვრებდნენ ქრისტეს სჯულისა მებრ, თუმცა ჰკარგავდნენ თავის პოლიტიკურ დაუმოკიდებლობას და უერთდებოდნენ სხვა სამეფოებს, მაგრამ თავის სარწმუნოებას, ენას და ჩვეულებას ეს სახელმწიფონი იცავდნენ, როგორც დაიცვა ყველა ესეები საქართველომ, რომელიც ეხლა დიდი რუსეთის სახელმწიფოის ერთ სამფლობელოთაგანს შეადგენს.

არ არსებობენ საუკუნოდ კაცთა სამეფონი, მაგრამ საუკუნოა ქვეყანაზე წესიური სამეფო—წმინდა ქრისტეს ეკკლესია. ეს სამეფო საუკუნოა; ის არას დროს არ დაიშლება, იმას არ ექმნება დასასრული. იგი საუკუნო სამეფოა, მიტომ რომ საუკუნოა მისი მეფე, საუკუნოა მისი თავი—უფალი იესო ქრისტე. საუკუნო მეფესთან მისი სამეფოც საუკუნო არ არის? უკვდავ თავთან, უკვდავი არ იქნება მისი ტანიცა—წმიდა ეკკლესია? საზღვარი წმიდისა ეკკლესიისა ცოდვათა მებრ შვილთა მისთა, შეიძლება, შემოკლდეს, შეიძლება, მოშორდეს წმიდა მსოფლიო ეკკლესიას არა თუ მარტო კერძოობით მორწმუნენი, არამედ, შეიძლება, მოშორდნენ მთელი ადგილობითი ეკკლესიაცა, მაგრამ ქრისტეს მსოფლიო ეკკლესიასა ბჭენი ჯოჯოხეთისანიცა ვერ დასძლევენ და ვერ შემუსრავენ. წარსწყმდნენ მთელი ადგილობითი ეკკლესიანი აღმოსავლეთისკენ მწვალებლობითა. ამ ეკკლესიებთა ნანგრევებზე დამკვიდრდა მაჰმადის სწავლა თავისი გამხრწნელი ზნეობითა. დიდი რომის ეკკლესიაცა თავისი მორწმუნეებით მოშორდა მსოფლიო ეკკლესიის ერთობას, მაგრამ მსოფლიო ეკკლესია შეურყევლად იმყოფება და დარჩება სამუდამოდ სვეტად და ჭეშმარიტების დამამტკიცებლად (ა ტიმ. გ—იე.) და დარჩება უძლეველად ბჭეთაგან ჯო-

ჯოხეთისათა ამა ქვეყნის დასასრულამდე; იმ დროამდე თავისი არსებობისა ქვეყანასა ზედა, სანამ საუკუნო ცხოვრებისათვის და ნეტარებისათვის არ აღზრდის საკმარისს ხალხს ყოველსა ადგილსა და მაშინ ამ მორწმუნეებით შევა ერთად საუკუნო დიდების სამფლობელოში. და არა მარტო გარეგანი სივრცე, დიდება, ძალა და შესამჩნევი სიბრძნე ადგილობითი ეკკლესიებთა არის მტკიცე წინდი იმისა, რომ ეს ეკკლესიები ცხოველნი წევრნი არიან მსოფლიო ეკკლესიისა. არა, მსოფლიო ეკკლესია იქ არის, საცა ადგილობითი ეკკლესიები ჭეშმარიტად ინახვენ სახარების სწავლას, შეუცვლელად იცავენ მოციქულების გარდმოცემას, სცხოვრებენ ქრისტიანობრივი სიყვარულითა, სიმშვიდითა და თავ განწირულებითა. მს ეკკლესიები არიან აღმზრდელნი ხალხისა ზეციური დიდებისათვის. ერთათ შეერთებითა იგინი შეადგენენ იმ საუკუნო სამეფოს, რომელსაც არ ექნება დასასრული და როგორი სასიხარულოა, რომ საქართველოს და დიდი რუსეთის ეკკლესია შეადგენს მსოფლიო ეკკლესიის ნაწილსა, რომელ იგი ჭეშმარიტის გზითა მიიყვანს შვილთა თვისთა საუკუნო ნეტარებისადმი, განანათლებენ მათ გონებათა შეუცვლელი ქრისტეს ჭეშმარიტებრივითა სწავლითა და სჯულითა.

აი როგორ მოფიქრებამდინ მიმიყვანა მე ძველი დროის მოგონებამ, რომელიც დაბადა ჩემში წმიდა მცხეთის ძველმა ნაშთებმა, როგორი სწავლა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ამ მოსაზრებათა და მოგონებათაგან?

ქაცთა სამეფონი და ხალხნიცა არ არიან საუკუნენი ქვეყანაზე, მაგრამ იგინი, შაიძლება, შაიქნან გრძელ—ყამიერნი, თუმცა მათი ცხოვრება აღვსილი იქნება კეთილ ზნეობითა. იგინი გრძელ ყამიერნი და ბედნიერნი იქნებიან, თუ მათში მთავრობა ძლიერია და ნაკურთხი; თუმც ყველა ქვეშევრდომნი ერთ სულობით ზრუნვენ საზოგადო სიკეთისათვის და არ უღალატებენ საზოგადო სამშობლოს; თუ მათ შორის სუფევს შრომის მოყვარება, პატიოსნება, სიფხიზლე, დამზოგველობა და ზნეობითი სიწმინდე. თუ ეს თვისებანი ხალხთა და სამეფოთა შინა არ არსებობენ, იგინი წვალობენ და კიდეც იღუპებიან. ხალხი, რომელმაც არ იცის შრომის მოყვარეობა, დამზოგველობა და არ იცის შეკრება და შენახვა ხალხის სიმდიდრისა, რჩება მუდამ მოსამსახურედ და მუშად ხალხთა, მათზე უფრო დამზოგველთა, მდიდართა და გონებით გახსნილთა. ხოლო ხალხნი და სამეფონი, რომელნიცა ზნეობითად წვალობენ და ერთმანეთსა წინა აღუდგებიან, იღუპებიან. ცხადია, რომ საქართველომ და დიდი რუსეთის სამეფომაცა, რომლის ნაწილს ეხლა საქართველო შეადგენს, თავისი სიკეთისათვის, დღეგრძელობისათვის და კეთილ წარმატებისათვის ყოვლის ღონის ძიებითა უნდა შეიყვარონ თავიანთი უავგუსტოესი ხელმწიფე და თავისი სამშობლო, პატივსა სცემდნენ რა უფლებათა ყველგან, დაემორჩილონ მართებლობის წარმომადგენელთა პირთა, ერთად იზრუნონ საზოგადო სიკეთისათვის და აღმოფხვრან თავიანთ შორის ყოველივე უკეთური და უღირსი, იყონ შრომის მოყვარენი, დამზოგველნი, დაიცვან ზნეობითი სიწმინდე და იზრუნონ ხალხთა სიმდიდრის შეკრებისათვის. ასე თუ მოიქცევიან ისინი, არამც თუ არ შაიქნებიან სხვა ხალხების მუშად და მოსამსახურედ, არამედ შეიქნებიან შემძლე, მდიდარი და ბედნიერ ხალხად.

ქვეყანაზე ერთი საუკუნო სამეფოა—მსოფლიო ეკკლესია. მსოფლიო ეკკლესია იქ არის, სადაც ადგილობითი ეკკლესიები იესო ქრისტეს ჭეშმარიტებას შეუცვლელად იცავენ და სცხოვრებენ ქრისტეს სჯულისა მებრ. იქ, სადაც ქრისტეს ჭეშმარიტება შეუცვლელად არსებობს და ხალხთა ცხოვრება მიმდინარეობს სჯულისა მებრ ქრისტესა, იქ ხალხი წესიერად აღიზრდებიან საუკუნო ნეტარებისათვის. ამ საუკუნო ნეტარებისთვის ამზადებს ხალხს წმიდა მსოფლიო ქრისტეს ეკკლესია. რადგან მსოფლიო ეკკლესია საიმედოდ ამზადებს ხალხს ნეტარებისთვის, ამიტომ ჩვენ ყველა გულითად ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა, რომელმაც ღირს გვყო შვილად წოდებისა წმიდა ქრისტეს ეკკლესიისა, ამიტომაც თანაბდებ ვართ ვიცხოვროთ განუშორებლად წმიდა ეკკლესიისათანა, ვიყვნეთ მისი სრულნი წევრნი და შვილები, დავიცვათ და აღვიაროთ შეუცვლელად ჭეშმარიტება ქრისტესი, ვიცხოვროთ ქრისტეს სჯულისა-მებრ, აღვასრულოთ სჯული და წესდებულება ეკკლესიისა და ამ სახით აღვიზარდნეთ სასუფეველისათვის. ვინც ასე იცხოვრებს და მოიქცევა, იგი დაიმკვიდრებს ზეციურსა სასუფეველსა.

საქართველო! შენ გიყვარს წოდება ღვთის-მშობლის მხვედრად. მართლაც, შენ მისი მხვედრი ხარ. გარნა ეს პატივის ცემა და დიდი ბედნიერება ღვთის-მშობლის ხვედრად წოდებისა

დასდებენ შენზე დიდ მოვალეობასა და დიდ პასუხის გებასაცა. ღვთის-მშობელი ყოვლად წმიდაა. ის ერთ დრომდე უთმენს და სწყალობს ცოდვილთა, მაგრამ ცოდვას არ ითმენს და მუდამ ცოდვათა შინა მყოფთა ცოდვილთაგან უკუ იქცევა. დღეს ჩვენ ვიხსენიებთ ღვთის-მშობლის მფარველობის დღეს, რომელმაცა ერთ დროს ვიზანტია მტრებისაგან დაიცვა, ის ვიზანტია, რომელშიაც იყო გავრცელებული ქრისტიანობა და რომელსაც სასწაულებრივითა სახითა იხსნიდა ხოლმე მტრებთაგან. მაგრამ ვიზანტიამ თავისი ცოდვითა დაჰკარგა ღვთის-მშობლის სიყვარული და ერთ დროს დიდებული სატახტო ქალაქი რომაელთა და ბერძენთა მეფეთა შეიქმნა მუსულმანების ხვედრად. ასე საზარელია ღვთის-მშობლისათვის ცოდვა იმათიცა, ვინც მას ერთ დროს უყვარდა. იზრუნე საქართველო, რომ დამთე ღირსად ღვთის-მშობლის ხვედრად წოდებისა; იზრუნე დაცვად მისი მოწყალებისა და სიყვარულისა ჭეშმარიტი სარწმუნოებითა, კეთილ მსახურებითა ცხოვრებითა, კეთილად დღესასწაულებთა დროს გატარებითა, რომ შენი ცუდი მოქმედებით არ შეურაცხ-ჰყო დღესასწაულთა სიწმინდე. მხოლოდ ამ პირობით იქნება შენზე მოვლინებული ყოვლად შემძლებელი საფარველი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობელისა.

დასასრულ შევევედროთ მეფესა მეფეთასა და უფალსა უფალთასა—იესო ქრისტესა და ყოვლად-წმიდასა დედასა მისსა, რომ მათ დაგვიცვან ჩვენ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა და კეთილსა მსახურებასა შინა და შეგვეწიონ იგინი, რათა ერთსულობით ვიშრომოთ წმიდა ეკკლესიის სასიკეთოდ და სასარგებლოდ მხარისა ამის და საზოგადო ჩვენისა სამშობლოისა—რუსეთისა, ნივთიერად და სულიერად აღორძინებისათვის და შემდეგ კეთილ შრომისა ქრისტიანულსა ჭეშმარიტსა ცხოვრებასა შინა მოგვანიჭოს ჩვენ საუკუნო ზეციური გვირგვინი. ამინ.

IV.

ნათლისღების და მირონ ცხების საიდუმლოთა ტიბიკონის შესახები კითხვები და მათი განმარტება. *)

ყოველი ქრისტიანე დედაკაცი მეორმოცე დღეზე უნდა მივიდეს ეკკლესიაზედ. დაბადებული მიიყვანოს, თუ ცოცხალი ჰყავს, და წააკითხოს მღვდელს დადებილი ლოცვები მშობიარე დედაკაცისა და ყრმისა; მაგრამ თუ ბავშვი მონათლული არ არის, ეკკლესიაში შეყვანა მისი არ უნდა აღასრულონ მონათვლამდინ.

მეორმოცე დღის დადებილი ლოცვანი მშობიარე დედაკაცზე და ყრმაზე სახლში არ უნდა სრულდებოდეს, არამედ ეკკლესიაში.

მონათვლა უნდა სრულდებოდეს უთუოდ ეკკლესიაში, მაგრამ საჭიროებისამებრ, შეიძლება, სახლშიაც ასრულდეს ნათლისღება, განსაკუთრებით როდესაც ყრმა ავათ არის, ანუ ეკკლესია არის ძლიერ შორ, ცუდი ამინდი და დიდი ზამთარია.

ყოველთა ქრისტიანთა მშობელთა ყრმანი უნდა მოინათლონ მიმქმელების თან დასწრებით.

რამდენი უნდა იყონ მიმქმელნი?

მიმქმელებად უნდა იყვნენ ორნი: კაცი და ქალი; ამათ მეტი რამდენნიც მეტი უნდა იყვნენ, მხოლოდ მოწმებად ინიშნებიან და არა ვითარი ნათესაობითი მნიშვნელობა მათ არა აქვსთ. (სინოდის უქაზი იჳ-ს ივნის ჩყლდ წლისა.)

საჭიროებისა მებრ მამრის სქესის ყრმაზე, შეიძლება, მარტო ერთი მიმქმელი იყოს—კაცი და მდედრის სქესისაზე—ქალი. ყრმის სიკვდილის შიშის დროს შეიძლება ბავშვი უმიმქმელოთაც მოინათლოს.

მიმქმელებად შეუძლიათ იყონ მხოლოთ მართლმადიდებელნი და მცოდნენი სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელნიც ვალდებულნი არიან წარმოსთქვან კიდეც მოსანათლავის მაგიერ, თუ შვიდი წლის ნაკლების მოსანათლავი. თუ რომელიმე პატივ-სადები მიზეზისა გამო ქრისტიანე სხვა აღსარებისა არის მიმქმელად, იგი ვალდებულია წარმოსთქვას „მრწამსი" მართლმადიდებელი ეკკლესიისა.

*) მეოთხე განყოფილებაში, როგორც პროგრამაშიცა არის გამოცხადებული, ჩვენ დავბეჭდავთ ხოლმე სხვათა შორის დრო და დრო მართლ მადიდებელი ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის შესახებ ზოგიერთ კითხვებს და ამ კითხვების ახსნას, რომელთა მტკიცედ ცოდნა საჭირო და სასარგებლო არის როგორც სამღვდელო და საეკკლესიო პირთა, აგრეთვე ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანეთათვის.

რედაქტორი.

არ შეუძლიათ მიმქმელად ყოფნა:

ა) მცირე წლოვანთა თუთხმეტი წლის ნაკლებს—ვაჟს ⸗ ცამეტი წლის ნაკლებს—ქალს. (სინოდის უქაზი. კზ-ს აგვისტოდამ ჩულზ წლისა.)

ბ) ბერთა ⸗ მონაზონთა. (სინოდის უქაზი ოკტომ. იზ-ს ჩუმდ წ.)

გ) ქმარსა ⸗ ცოლსა არ შეუძლიათ მიმქმელებად ყოფნა ერთ დროს ერთი ბავშვისა, მაგრამ სხვა ⸗ სხვა დროს სათითეულოდ შეუძლიათ მიმქმელად ყოფნა ერთი მშობლისა.

დ) მამასა ⸗ დედასა არ შეუძლიანთ თავისი შვილის მიმქმელებად იყვნენ; წინააღმდეგ შემთხვევაში გვირგვინი მათი უნდა გაიყაროს.

⸗ ე) არ უნდა იყვნენ მიღებულნი მიმქმელებად ცოდვილნი, სახელ გატეხილნი ბირნი ⸗ ავაზაკნი; აგრეთვე არ უნდა იყვნენ მიღებულნი მიმქმელებად სულელნი ⸗ გიჟნი.

თუ მღვდელი არ იბოლებს ⸗ ერმა კვდება უნათლავად მაშინ ერის კაცსაც შეუძლია მონათვლა. ამ შემთხვევაში ერის კაცმა სამკერ უნდა ჩაიყვანოს წყალში, ემბაზში იქმნება თუ სხვა რამე ჭურჭელში ⸗ სთქვას: „ნათელს იღებს (მონა ანუ მხევალი სახელი უნდა უწოდოს) სახელითა მამისათა, ამინ, ⸗ ძისათა, ამინ, ⸗ სულისა წმიდისათა ა[illegible] ⸗ მარადის ⸗ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“ თუ ასე მონათლული ბავშვი გარდაიცვალა, იგი მონათლულად ირიცხება ⸗ ყველაფერი წესი სიკვდილის შემდეგ ქრისტიანე ჩვილის აღსრულება.

ერის კაცისაგან მონათლული ბავშვის მონათვლა როგორ უნდა დასრულოს მღვდელმა?

თუ ერის კაცისაგან მონათლული ბავშვი არ მოკვდა ⸗ ტოტსაღი დარჩა, მაშინ მღვდელმა უნდა დაიწყოს იმ სიტყვების იქით, რაც ერის კაცმა წარმოსთქვა სამ-გზის ბავშვის წყალში ჩაყვანაზე ⸗ ყველაფერი შემდეგი უნდა აღესრულოს, მაგრამ მოსანათლავის წყალში ჩაყვანამდის რაც არის ასასრულებელი, ისინი არც ერთი არ უნდა ასრულდეს, ყველა უნდა დასტოვოს.

შეუძლია თუ არა დასწრება ბავშვის მონათვლაზე დედ-მამას?

თუ მივიღებთ სასეში მას, რომ მღვდელს შეუძლია თავისი შვილის მონათვლა თუ სხვა მღვდელი არ იბოლება; აგრეთვე თუ მღვდელი სრულებით არ იმყოფება ასლო მახლო ⸗ ბავშვი ძლიერ ავათ არის შეუძლია ერის კაცმაც მონათლოს თავისი შვილი, რასაკვირველია, ამ ჩვეულებას კანონიერი საფუძველი არა აქვს.

მოსდება ხოლმე ხანდის-ხან რომ დაიბადებიან ორ თავიანები ⸗ ორ მკერდიანები, მაგრამ ერთი წყვილი ხელებით ⸗ ფეხებით; როგორ უნდა მოიქცეს მდგდელი ამ შემთხვევაში?

მღვდელი უნდა დაუკვირდეს კარგად ⸗ თუ დარწმუნდეს, რომ დაბადებულს აქვს ორი თავი, ორი ბირი ⸗ ორი მკერდი ⸗ სხვა ასოები ერთი, მაშინ ცალ-ცალკე უნდა მოანათლოს სამ გზის წყალის თავზე დასხმით, რომელზედაც უნდა წარმოსთქვას სიტყვები: „ნათელს იღებს (მონა ანუ მხევალი) სახელითა მამისათა, ⸗ ძისათა ⸗ სულისა წმინდისათა, ამინ. ერთზე რომ გაათავებს შერეე მეორე თავზე უნდა აღასრულოს.

შეიძლება თუ არა ერთი ემბაზის წყალში რამოდენიმე ერმის მონათვლა?

თუმცა ერთ ნაკურთს ემბაზის წყალში შეიძლება რამდენიმე ერმის შთაყვანა ⸗ მონათვლა უწმინდესის სინოდის უქაზის ძალით, გამოცემულის ით-ს ივლიხადამ ჩულგ წელსა, მაგრამ ადვილად შეიძლება ისიც რომ ყველა მოსანათლავი ერმები ერთ დროს ასლ ნაკურთს წყალში მოინათლოს. ბირველთ უნდა აკურთხო ბლომა წყალი ⸗ ცალკე ჭურჭელში შეინახო ⸗ ბოლოს ერთს რომ მოსათლავ გადაქცია ⸗ დარჩენილი ისმარო, ანუ ცოტა შეინახო ⸗ ასლად ჩასხმულ ემბაზის წყალში ჩაურიო. ეს საჭიროა თითქმის მაშინ როდესაც რომელიმე ერმა გადამდები სნეულებით არის აგათ...

შეიძლება თუ არა დაუსწრებლად იქმნეს ვინმე მიღებული მიმქმელად ⸗ დაწერილი მეტრიკაში?

ბერთსვენის ჩვენებისა მებრ მიუცილებლად საჭიროა არის, როდესაც მდედრის სქესი ინათლება, დასწროს მიმქმელად—ქალი ⸗ როდესაც მამრის სქესისა—კაცი. მეორე ბირი რომელიც დიდი საჭიროა არცია, თუ რაიმე ბატივ სადები მიზეზისა გამო თხოვლობენ დაინიშნოს მიმქმელად აღრჩეული ბირი, რომელიც სხვაგან იმყოფება, შეიძლება დაიწეროს მიმქმელად დასწრებულ მიმქმელთან.

ემბაზის შემოგლების დროს მონათლული ერმა ორივე მიმქმელს უნდა ეჭირასთ თუ ერთს?

ემბაზის შემოგლებაზე, თუ მონათლული არის მდედრის სქესისა, უნდა ჰყავდეს მკლავებზე დადებული მიმქმელს—ქალს ⸗ თუ მამრის სქესის არის მონათლული—კაცს.

შეუძლია თუ არა მართლმადიდებელი ეკეკლესიის მღვდელმა მონათლოს ერმა სხვა აღსარების ქრისტიანთა მშობელთა, როდესაც ოვიოთან მშობლებიც თხოულობენ?

შეუძლია, თუ მშობლები მისცემენ მღვდელს წერილობით ბირობას, რომ ისინი თანახმანი არიან ⸗ ვალდე-

ზულნი მონათლული აღზარდონ მართლმადიდებელი ეკკლესიის კანონთა-მებრ. თუ ამის თანახმანი არ არიან მაშინ მართლმადიდებლის მღვდელს არ შეუძლია ამისთანა ბავშვების მონათვლა; მაგრამ მღვდელმა უნდა ასწავლოს, თუ როგორ უნდა მოინათლოს ყრმა ერის კაცისაგან, თუ მღვდელი არ იპოვებოდეს, რომელი წესიც ყველა აღსარებისა ქრისტიანეთა შორის არის მიღებული.

ნარევი

საშიშარი მიწის ძვრა. იტალიაში არის ერთი კუნძული, რომელიც ზოგიერთ მოგზაურებისაგან ქვეყნიერ სამოთხეს არის მიმგზავსებული. ბუნება ამ კუნძულისა ყოვლისფრით შემკობილია: მშვენიერი ჰაერით და მცენარეებით. ამბობენ, რომ მთელს დედამიწაზე არ არის ამ კუნძულზე უმშვენიერესი და ყოვლისფრით შემკობილი ადგილი. მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთი უბედურება სჭირს: ხშირად ხდება ხოლმე თურმე ამ კუნძულზე მიწის ძვრა. ამ წლის აგვისტოს თვეში ღამის ათ საათზე, როდესაც თითქმის ყველანი შინ იმყოფებიან, მომხდარა საშიშარი მიწის ძვრა. გადარჩენილან მხოლოდ ზოგიერთები, რომელნიც შინ არ დასწრებულან. დაღუპულებთა რიცხვი ჯერ კიდევ ვერ მოუყვანიათ ცნობაში, მაგრამ მიახლოვებით ამბობენ, რომ დაღუპულა რვა ათასი სული. ერთ ადგილას სადაც ტეატრში წარმოდგენა ჰქონდათ, პირველად თურმე ყველამ შენიშნა, რომ მიწა თითქმის გაიპო, გაიხსნა და ამოვიდა სქელი ყვითელი ორმური. ალარაფერი არ ისმოდა პირველად. შემდეგ ყველანი გაეხვიენ მტვერში და კომლში. სამთლები დაჰქრეს და სიკვდილის შიშმა გააშტერა ყველანი ერთ ადგილზე. ბოლოს შეიქმნა ყველგან საშიშარი და საზარელი ყვირილი: ,,არიქა ვიღუპებით, ზღვისკენ, ზღვისკენ თავს უშველოთ!“ შიშით ბევრ ქალებს ჭკუა დაეკარგათ და გაგიჟდნენ. ვინც გადარჩნენ, ამბობენ, რომ ამისთანა საშინელება არ უნახავსთ არას დროს და არსად: არც ჩხუბში, სადაც ოცი ათასობით კვდებიან და არც სხვა უბედურ შემთხვევაში.

ამ კუნძულის ქალაქი დაიკარგა თითქმის სრულებით და მიწასთან არის გასწორებული; ალარ ჰჩანს არც ერთი სახლი. მომხდარა ზოგიერთ ალაგას, რომ მშობლები დაღუპულან და პატარა ბავშვები დარჩენილან და მთელი ღამე ბნელაში უძახიათ თავიანთ დედ-მამისთვის. მრავალნი გასრესილნი კაცნი და ქალნი, დიდნი და პატარანი უნახავსთ მეორე დღეს დაყრილნი. ამასთან უნახავსთ მრავალნი ჩაცვინულნი მიწაში და ქვეშ მოქცეულნი ცოცხლად.

იტალიის კოროლმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ უბედურობას. ის წავიდა ადგილობრ დასახედავად და თან მიაყენა მრავალი ჯარი ცოცხლების ამოსათხრელად. კოროლმა, როდესაც ამისთანა უბედურებას და ხალხის გაჭირვებას შეხედა, ტირილი ველარ მოიკავა და სთქვა: ,,კაცის გონება ამისთანა უბედურებას ველარ წარმოიდგენს.“ კოროლი გააფრთხილეს გაშორებოდა ამ საშიშარ ალაგს და გაცილებოდა იმ საძაგელს მყრალს სუნს, რომელიც მიწიდამ ამოდიოდა, მაგრამ არ ისმინა. კოროლი სადაც მიდიოდა, ყველგან უარს ეუბნებოდა იმ თავისუფლებით განსვენებაზედ, რომელსაც მას უმზადებდნენ და ყველგან, როგორც კეთილი მოყვარული მამა თავის ქვეშევრდომთათვის, მზად იყო აეტანა ყველა გაჭირვება. დიდი ფული შესწირა გაჭირვებულების სასარგებლოდ და ყველაფერ ზომებს ხმარობს, რომ ამ ცუდი აყროლებული სუნისაგან რამე საშიში სნეულება არ გაჩნდეს. ვინც გადარჩა და ცოცხალია, ყველა ზომებია მიღებული მათ მოსარჩენად.

ეხლა მეორე ადგილიდამ მოვიდა კიდევ საშიშარი ამბავი მიწის ძვრისა. მომხდარა მიწის ძვრა, რომლის გამოისობით დაღუპულა თითქმის ოთხმოცი ათასი კაცი. საკვირველი ის არის, რომ როგორც ზეციური მოვლინებაები იყო ამ ორ წელში არა ჩვეულებრივი მაგალითად: მზის და მთვარის დაბნელება და სხვანი, ისე დედა-მიწაზე ჰხდება საოცარი ამბები...

*
* *

მცურავი სობორო. ამერიკის მისიონერები თავისი ეპისკოპოსებით აპირებენ ერთი მცურავი სობოროს გაკეთებას პარახოდზე იმ მიზნით, რომ ამაზონის წყლის ნაპირებზე ატარონ და დააკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნილება ამ წყლის ნაპირებზე მცხოვრებთა მუშა ხალხთა. ყველა ევროპიის განათლებულ სახელმწიფოთა არხიტეკტორებს აქვსთ წინადადება მიცემული წარმოადგინონ თავისი პროექტი ამისთანა სობოროს ასაშენებლათ. ხომალდზედ უნდა იქმნეს აშენებული მარტო სობორო და მღვდლების სადგომი..

ჩვენ ხალხს არ გვანებულა მამაცხონებული ამერიკელები! ჩვენში ხმელეთზედ ვერ აუშენებიათ ეკკლესია, რომ ორ-სამ წელს იქით არ დაიქცეს და ისინი ზღვა წყალში აკეთებენ სობოროს. მღვდლებს არამც თუ სადგომი გაუკეთონ, სადგომის დასადგმელ მიწასაც არ აძლევენ!..

*
* *

ახალი საშუალება სამოწყალოდ ფულის შეკრებისა. მრავალ სახელმწიფოებში და მათში უმთავრესად გერმანიაში არსებობენ საზოგადოებანი, რომელნიცა აგროვებენ ფულს მობოჭილი სიგარის ნაჭრებისაგან. ამ წყაროდამ შემოსულ ფულებს ახმარებენ იგინი ღარიბ ბავშვებს ტანისამოსის სასყიდლად. ეხლა ერთი დრეზდენის გაზეთი საზოგადოებას უჩვენებს მეორე ამისთანა წყაროს. ის ურჩევს საზოგადოებას ნახმარი რკინის კალმების მოგროვებას რომლიდამაც ბლომად ფული შემოვაო, რადგან ყველა კალმები სპილენძისაგან კეთდება და ხელახლა გადადნობილი გვარიან ფულად გაიყიდებაო.

*
* *

მცხოვრებლები მთელს დედამიწაზე. მიახლოვებით გამონგარიშებულია მცხოვრებთა რიცხვი მთელს დედამიწაზე. ა ზ ი ა შ ი ირიცხება რვაას ოც და თუთხმეტი მილიონი; ე ვ რ ო პ ა შ ი ირიცხება სამას თუთხმეტი მილიონი და ხუთასი ათასი. ა ფ რ ი კ ა შ ი ირიცხება ორას ხუთი მილიონი და ექვსას სამოცდა ათი ათასი; ა მ ე რ ი კ ა შ ი—ოთხმოცდა ცხრა მილიონი და ხუთას სამოცდა ათი ათასი და ა ვ ს ტ რ ა ლ ი ა შ ი—ოთხი მილიონი და ოცდა თერთმეტი ათასი. სივრცით ევროპა თითქმის ყველა დედამიწის ნაწილებზე ნაკლებია, მაგრამ მცხოვრებლების რიცხვით აზიას გარდა ყველაზე მეტია.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲛᲬᲔᲛᲡᲖᲔᲓ“

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ გამოვა ორ საშუალო ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ გამოვა ამა წლის ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ თვიდამ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ და ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ თითო ნომერი და პირველი ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲛ მომავალი წლის დამლევამდის ორ კვირაში თითოჯერ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ნახევარი წლისა—ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ფასი ამა წლის ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ თვიდამ მომავალი წლის დამლევამდის—ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ გაზეთზე მიიღება ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ: ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ძეს ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ და იმავე სასწავლებლის მასწავლებელს ᲔᲡᲢᲐᲢᲔ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ძეს ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

ᲪᲐᲚᲙᲔ №№-ის ყიდვაც შეიძლება. ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ფასი—20 კ.

Ქ. ᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲐᲚᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲡ წევრის არხიმანდრიტ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲨᲘ რედაქტორის საკუთარს სახლებში. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲛᲬᲔᲛᲡᲘᲡ“ რედაქციაში დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲡ (ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.

ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ და ისყიდება, პირველად შედგენილი ქართულს ენაზედ სახალხო სამკურნალო წიგნი, ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ შედგენილი მ. დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ-ᲛᲘᲗ.

ᲔᲡ ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა კაცის ტანის აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ. მეორე ნაწილში არის მოყვანილი გიგიენური დარიგება და სწავლა ჯან-მრთელობის დაცვაზედ. მესამე ნაწილში არიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი სნეულებანი და მათი წამლობა. მეოთხე ნაწილში არიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, მოქმედება და ხმარება. ბოლოს, დამატებაში არის მოყვანილი მოწამელისაგან ავათ გამხდარი კაცის ნიშნები და სხვა-და-სხვა საშუალებანი ავათმყოფის მოსარჩენად.

ᲔᲡ წიგნი ყველასათვის საჭირო და სასარგებლოა. ᲑᲔᲕᲠᲡ შეუძლია სხვა გაჭირვებულ ავათ მყოფებსაც საშუალება აღმოუჩინონ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ პირებში პირველი ადგილი უკავიათ სოფლის პრიხოდის მღვდლებს, რომელნიც ყველაზედ ნამეტნავად არიან დაახლოებულნი სოფლის ხალხთან.

წიგნის ფასი ყველგან გაგზავნით ᲧᲓᲘᲐᲜᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲓ.

ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ:

Ქ. ᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ და ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ წიგნების მაღაზიებში. ᲒᲝᲠᲨᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡ სასულიერო სასწავლებლის მაწსავლებელ პ. ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ. ᲡᲣᲠᲐᲛᲨᲘ, დიაკონ თადეოზ შველიძესთან. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ და ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ მაღაზიებში. ᲓᲐᲑᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ, მასწავლებელ ᲧᲐᲠᲐᲛᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ. ᲓᲐᲑᲐ ᲖᲣᲑᲓᲘᲓᲨᲘ, ბლაღოჩინ დეკანოზ მეუნარგიასთან. ᲓᲐᲑᲐ ᲝᲠᲞᲘᲠᲨᲘ, სოფლის სკოლის მასწავლებელ ᲘᲐᲡᲝᲜ ᲥᲐᲠᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ. ᲓᲐᲑᲐ ᲚᲐᲘᲚᲐᲨᲘ, ბლაღოჩინ ᲘᲚᲐᲠᲝᲜ ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

შეიძლება ამ წიგნის დაბარება „ᲛᲬᲔᲛᲡᲘᲡ“ რედაქციიდამ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲔᲛᲝ-ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ადგილებში შეუძლიათ ყიდვა მსურველთა; ᲛᲦᲕᲓᲚᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐ, რომელსა შინა არის სხვათა შორის დარიგება საეკლესიო საბუთების შედგენაზე. ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ წიგნი იყიდება თითო ᲝᲠ ᲐᲑᲐᲖᲐᲓ.

Дозв. цензурою Кутаисъ, 7 Октября 1883 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

მსწრაფლმბეჭდავი ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ Დ ᲤᲔᲠᲐᲫᲘᲡ.